

საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მიმოხილვა

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის მიმდინარეობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, საინვესტიციო პროექტების სრული ციკლის დანერგვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. რეფორმის ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვის (Public Expenditure Review) საფუძველზე, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება (ცვლილება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში). აღნიშნული გზამკვლევი და მეთოდოლოგია არეგულირებს 5 მლნ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების მომზადების, წინასწარი შერჩევის, შეფასების, ბიუჯეტირების, განხორციელების, მონიტორინგის და განხორციელების შემდგომი შეფასების პროცესებს.

საინვესტიციო პროექტების მართვის სრულყოფილად დანერგვის შედეგად გაუმჯობესდება საინვესტიციო პროექტების შერჩევის მექანიზმები და უზრუნველყოფილი იქნება ობიექტურ ანალიზზე დაფუძნებული პროექტების გათვალისწინება ბიუჯეტში. აღნიშნული კი თავის მხრივ გააუმჯობესებს საშუალოვადიან დაგეგმვას და სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენებას.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის დანერგვა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან შესაბამისი ცოდნის მიღებისა და ტრენინგების საჭიროების კუთხით. ამ მიზნით 2017 წლიდან შესაძლებლობების ფარგლებში, დონორების (WB, USAID, EU, GIZ და სხვა) მხარდაჭერით, უკვე ჩატარდა არაერთი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა საქართველოს სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის და აქტიურად გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის თანმიმდევრული დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების დოკუმენტი (Public Investment Management Assessment Report - PIMA). 2022 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ განხორციელდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების (PIMA) განახლება და კლიმატის საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების (C-PIMA) მომზადება.

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2022 წლის შეფასების მიხედვით, რომელიც მოიცავს 2021 წლის ჩათვლით პერიოდს, საინვესტიციო პროექტების მართვის ინდიკატორი შეფასდა „A“ ქულით (სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2018 წლის შეფასებით აღნიშნული ინდიკატორის შეფასება იყო „D“).

საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვა მნიშვნელოვანი კომპონენტია ევროკავშირის ფინანსური დახმარების (EU - ეკონომიკური მმართველობა და ფისკალური ანგარიშვალდებულება) რეფორმის ფარგლებში.

კაპიტალური პროექტების დანართი

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მოიცავს 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პერიოდისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ, „კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებული“ პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის პროგრამული კოდი და პროექტის დასახელება;
- პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი;
- პროექტის განმახორციელებელი;
- პროექტის აღწერა და მიზანი;
- პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი;
- კაპიტალური პროექტების დაფინანსების მოცულობები, კერძოდ, გასული წლის ჩათვლით პროექტის ფაქტიური ხარჯი, მიმდინარე წლის გეგმა, დაფინანსების მოცულობები დასაგეგმი საშუალოვადიანი (4 წლიანი) პერიოდისთვის წლების მიხედვით და პროექტის მთლიანი ღირებულება.

კაპიტალური პროექტების დანართის მომზადება საბიუჯეტო განაცხადის ნაწილია და ხორციელდება ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის (eBudget.ge) მეშვეობით.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანდართული კაპიტალური პროექტების დანართი მომზადებულია მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და მოიცავს 71 კაპიტალურ პროექტად კლასიფიცირებულ პროექტს (პროგრამა/ქვეპროგრამა) ჯამური მოცულობით 2023 წელს 3,8 მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება 2023-2026 წლებში 14 მილიარდ ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტების მთლიანი ღირებულების 90 პროცენტამდე მიმდინარე, უკვე დაწყებული პროექტებია, რომელიც ძირითადად ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, (ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა, შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის მიმართულებით, ასევე საჯარო სკოლების რეაბილიტაციის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმართულებით.

ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს მოკლე შემაჯამებელ ინფორმაციას ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტთან მიმართებაში, მათ შორის ძირითად დაშვებებს, მსჯელობის ლოგიკას და ანალიზის შედეგებს (NPV, IRR, ENPV, EIRR). დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომელიც მოიცავს თითოეული პროექტის ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზს, მათ შორის დაშვებებს და მათგან გამომდინარე კალკულაციებს, პროექტის შექმნის, შენახვისა და ოპერირების ხარჯებს

პროექტის სრული ციკლის მანძილზე (ანალიზის პერიოდი განსაზღვრულია მეთოდოლოგიით), შემოსავლების პროგნოზებს და მათ ალტერნატივებს.

პროექტების ნაწილისათვის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნია მათი შემდგომ ეტაპზე გადასვლა და ხარჯების საშუალოვადიან პროგნოზებში მათი ასახვა. ნაწილისათვის რეკომენდირებულია დამატებითი ანალიზი შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, ხოლო პროექტების ნაწილის დაფინანსებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია მათი ხარჯების პროგნოზებში ასახვა.

ცხრილში N1 მოცემულია პროექტების სია, რომელიც იყოფა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტებად, რომელთა ღირებულება აღემატება 20 მლნ ლარს და 20 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტები და შეფასებულია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ცხრილი N1 - საინვესტიციო-კაპიტალური პროექტების რეესტრი

N	პროექტის დასახელება	პროექტის ინიციატორი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ათასი ლარი)	მ.შ, კაპიტალური ხარჯები	მ.შ, მიმდინარე ხარჯები	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები რომელთა ღირებულება აღემატება 20 მლნ ლარს:							
1	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა - საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთის მშენებლობის პროექტი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	291 000,0	291 000,0		სახელმწიფო ბიუჯეტი	პროექტი წარმოადგენს განსაკუთრებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტს. შესაბამისად, გათვალისწინებულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში
2	მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ თბილისისთვის	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	73 080,0	58 464,0	14 616,0	KfW	პროექტის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით NPV არის უარყოფითი, თუმცა პროექტის სოციალური ასპექტების გათვალისწინებით მისი ეკონომიკური E/NPV არის დადებითი. პროექტი გათვალისწინებულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში
3	იმერეთის რეგიონში კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“	257 600,0	206 080,0	51 520,0	KfW	პროექტის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით NPV არის უარყოფითი, თუმცა პროექტის სოციალური ასპექტების გათვალისწინებით მისი ეკონომიკური E/NPV არის დადებითი. პროექტი გათვალისწინებული იქნება 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში
4	აჭარაში მუნიციპალური მყარი ნარჩენების მექანიკური	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი	52 706,2	42 165,0	10 541,2	EBRD	პროექტის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით NPV არის უარყოფითი, თუმცა პროექტის

N	პროექტის დასახელება	პროექტის ინიციატორი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ათასი ლარი)	მ,შ, კაპიტალური ხარჯები	მ,შ, მიმდინარე ხარჯები	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
	ბიოლოგიური დამუშავება (MBT)						სოციალური ასპექტების გათვალისწინებით მისი ეკონომიკური E/NPV არის დადებითი. შესაბამისად, პროექტი შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს საშუალოვადიან პროგნოზებში
5	საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი (GRAIL)	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუსტიციის სამინისტრო/საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	408 000,0	326 400,0	81 600,0	WB	პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. ამ ეტაპზე პროექტის ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით NPV და E/NPV არის დადებითი. სრულყოფილი კალკულაციების და ალტერნატივების წარმოდგენის შემდგომ შესაძლოა პროექტი გათვალისწინებულ იქნეს საშუალოვადიან პროგნოზებში
6	ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მოდერნიზაცია (EIB, AFD)	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	368 261,9	294 609,5	73 652,4	EIB AFD	პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. ამ ეტაპზე პროექტის ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით NPV და E/NPV არის დადებითი. სრულყოფილი კალკულაციების და ალტერნატივების წარმოდგენის შემდგომ შესაძლოა პროექტი გათვალისწინებულ იქნეს საშუალოვადიან პროგნოზებში
7	გუდაურის გათვლინების მესამე ფაზა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შპს M.T.A	21 000,0	21 000,0		სახელმწიფო ბიუჯეტი	
8	ახალი გუდაური - სოლიკო საბაგირო გზის მშენებლობა (საბაგირო გზის საპროექტი დასახელება G12)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შპს M.T.A	41 000,0	41 000,0		სახელმწიფო ბიუჯეტი	გათვალისწინებულია 2023-2026 წლის საშუალოვადიან ბიუჯეტში
9	მულახი-თეთნულდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა (საბაგირო გზის საპროექტი დასახელება T1)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შპს M.T.A	55 000,0	55 000,0		სახელმწიფო ბიუჯეტი	
10	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	22 948,0	22 548,0	400,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლებისა

N	პროექტის დასახელება	პროექტის ინიციატორი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ათასი ლარი)	მ,შ, კაპიტალური ხარჯები	მ,შ, მიმდინარე ხარჯები	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
	უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მშენებლობა						და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი რესურსის ფარგლებში. ამასთან, კონკრეტული პროექტის ალტერნატივების განხილვის შედეგების გათვალისწინებით დაიწყება პროექტების განხორციელება.
	სულ		1 590 596,1	1 358 266,5	232 329,6		

ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები რომელთა ღირებულება 20 მლნ ლარამდეა:

1	დიღმის ჭალების საქალაქო პარკი (პროექტის "საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის" ფარგლებში)	ქ. თბილისის მერია - თბილისის განვითარების ფონდი	13 285 186,0	13 285 186,0			პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. ამ ეტაპზე პროექტის ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით NPV უარყოფითია, E/NPV არის დადებითი. სრულყოფილი კალკულაციების და ალტერნატივების წარმოდგენის შემდგომ შესაძლოა პროექტი გათვალისწინებულ იქნეს საშუალოვადიან პროგრნოზებში
	სულ		13 285 186,0	13 285 186,0	0,0	0	

საჯარო სკოლების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია:

1	ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	8 501,0	8 000,0	501,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	სოციალური ასპექტების გათვალისწინებით ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და მათი განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას.
2	ქალაქ აბაშის №2 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7 468,0	7 000,0	468,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილი რესურსის ფარგლებში

N	პროექტის დასახელება	პროექტის ინიციატორი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ათასი ლარი)	მ,შ, კაპიტალური ხარჯები	მ,შ, მიმდინარე ხარჯები	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
3	ქალაქ ქუთაისის №4 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7 451,0	7 000,0	451,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	სოციალური ასპექტების გათვალისწინებით ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და მათი განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას.
4	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაკურიანის საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7 485,4	7 000,0	485,4	სახელმწიფო ბიუჯეტი	
5	ქალაქ ხაშურის №4 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	12 674,0	12 000,0	674,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
6	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7 480,0	7 000,0	480,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
7	ქალაქ სენაკის №3 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	12 696,0	12 000,0	696,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
8	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	5 337,0	5 000,0	337,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
9	სსიპ ქალაქ ახალციხის ახალი სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	15 948,0	15 000,0	948,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
10	სსიპ - რამინ დიხამინჯიას სახელობის დაბა ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	12 688,0	12 000,0	688,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
11	ქალაქ თბილისის № 128 საჯარო სკოლა, დამატებითი კორპუსის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	6 962,0	6 500,0	462,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
12	სსიპ ქალაქ თბილისის N83 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	12 990,0	12 000,0	990,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
13	ქალაქ თბილისის №133 საჯარო სკოლა დამატებითი კორპუსის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	8 058,2	7 500,0	558,2	სახელმწიფო ბიუჯეტი	
14	ქალაქ თბილისის N179 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	16 080,0	15 000,0	1 080,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
15	სსიპ ქალაქ თბილისის N11 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	12 960,0	12 000,0	960,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
16	სსიპ ქალაქ თბილისის N209 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	6 935,4	6 500,0	435,4	სახელმწიფო ბიუჯეტი	

N	პროექტის დასახელება	პროექტის ინიციატორი უწყება	პროექტის მთლიანი ღირებულება (ათასი ლარი)	მ.შ, კაპიტალური ხარჯები	მ.შ, მიმდინარე ხარჯები	დაფინანსების წყარო	პროექტის შეფასების სტატუსი
17	ქალაქ თბილისის N152 საჯარო სკოლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	15 990,0	15 000,0	990,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
18	ქ. თეთრიწყაროში ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	5 670,0	5 000,0	670,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია პროექტის გათვალისწინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი რესურსის ფარგლებში. ამასთან, კონკრეტული პროექტის ალტერნატივების განხილვის შედეგების გათვალისწინებით დაიწყება პროექტების განხორციელება.
19	ქ. გორში ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	8 771,0	8 000,0	771,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
20	ქ. ყვარელში ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	5 678,0	5 000,0	678,0	სახელმწიფო ბიუჯეტი	
21	ქ. თბილისში სარაჯიშვილის N108 ში პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	10 542,8	10 000,0	542,8	სახელმწიფო ბიუჯეტი	
	სულ		208 365,8	194 500,0	13 865,8		

ქვემოთ განხილულია სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასებული ზემოაღნიშნულ ცხრილში მოცემული ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შემაჯამებელი ინფორმაცია:

1. საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	არსებული საავტომობილო გზა თავისი რელიეფიდან გამომდინარე გამოირჩევა სივიწროვით და მკვეთრი მოსახვევებით, რის გამოც ავტოტრანსპორტის გადაადგილება, განსაკუთრებით კი სატვირთო ავტომობილების გართულებულია, რიგ ადგილებში ორი სატვირთოს გვერდის ავლა შეუძლებელია, რაც იწვევს დალოდებას და შესაბამისად მოძრაობის შეფერხებას. რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ავტოტრანსპორტის გადაადგილებას და საფრთხეს უქმნის როგორც გზაზე

	მოდრავი ავტოტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილებას, აღნიშნულს ამასთანავე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გადაადგილების დროსა და ხარჯებზე.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში, ალტერნატიული მიმართულებების და მრავალფუნქციური შედარებების საფუძველზე დადგინდა, რომ ავტოტრანსპორტის პროგნოზირებული ინტენსივობა საშუალო ზრდის ტემპით შემდეგი 20 წლის განმავლობაში გაიზრდება (2045 წლისათვის AADT 18 371-ს) და ახალი გზის მშენებლობა ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე კრიტიკულად აუცილებელია სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთისათვის, რომელსაც ექნება საგრძნობლად გაუმჯობესებული პარამეტრები, რაც გაზრდის დერეფნის გამტარუნარიანობას, შემცირდება გადაადგილების დრო და ხარჯები, გაიზრდება გადაადგილების სიჩქარეები, საგრძნობლად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.
შეფასების პერიოდი	22 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	გზის გაყვანა
მოთხოვნილი დაფინანსება	-	291,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ¹	74,685,244 ლ	54,340.3 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ²	-	28,695,721.5 ლ
NPV ³	-13,361,529.68 ლ	46,981,324.86 ლ
IRR ⁴		10.2%
B/C ⁵	0.0	1.24
E/NPV		49,995,340.29 ლ
E/IRR		10.4%
E/B/C		1.25

2. მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ თბილისისთვის

პროექტის შესახებ ინფორმაცია

¹ ხარჯებში შედის: მიმდინარე ხარჯი, ავტომობილის ექსპლუატაციის ხარჯი, გადაადგილების დროის ხარჯი, გამონახობლქვის (CO2) ხარჯი

² შემოსავალში შედის: ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯის შემცირება, გადაადგილების დროის ხარჯის შემცირება, CO2 შემცირება

³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

<i>პროექტის დასახელება</i>	მდგრადი ურბანული მობილობა ქალაქ თბილისისთვის
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	ერთიანი გონიერი სატრანსპორტო სისტემის (ITS) პლატფორმის შექმნა თბილისში, აერთიანებს ყველა მონაწილე მხარის სიმლიერეს, რესურსებსა და შესაძლებლობებს, რომელიც წარმოდგენილი იქნება ერთიანი სისტემის ინტერფეისში. ერთიანი გონიერი სატრანსპორტო სისტემის პლატფორმა შეიძლება ჩაითვალოს ქოლგა პლატფორმად, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა მომხმარებლების ურთიერთქმედების საშუალებას, ინდივიდუალურად თუ ერთიანად სხვა მხარეებთან ერთად.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, მოქალაქეების მონაცემებისა და საჩივრების მიხედვით, გვაქვს პრობლემები მაღალი ხარისხის ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემასთან დაკავშირებით, ასევე გვაქვს მნიშვნელოვანი პრობლემები საგზაო მოძრაობასთან და ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით. თბილისი ბოლო წლების განმავლობაში ავტომობილების მფლობელობის ძლიერ ზრდას განიცდის, რაც 2011 წელს 1000 მოსახლეზე 242 ავტომობილი იყო, 2015 წელს კი 1000 მოსახლეზე 281 ავტომობილი.
<i>შეფასების პერიოდი</i>	15 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	(ITS) პლატფორმის შექმნა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>	-	73,080,666 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁶</i>	3,387,265.8 ლ	5,511,894.6 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი⁷</i>	-	8,771,419.1 ლ
<i>NPV⁸</i>	-26,530,311.14 ლ	-48,603,131.60 ლ
<i>IRR⁹</i>	#NUM!	-4%
<i>B/C¹⁰</i>	0.00	0.56
<i>E/NPV</i>		217,731,490.32 ლ
<i>E/IRR</i>		27%

⁶ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი, გაუთვალისწინებელი ხარჯები

⁷ შემოსავალში შედის: პარკინგის ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი, ავტობუსის ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი

⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

¹⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

E/B/C	2.95
-------	------

3. იმერეთის რეგიონში კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	იმერეთის რეგიონში კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	პროექტი ითვალისწინებს სამტრედიაში, ვანსა და ბაღდათში: <ul style="list-style-type: none"> • წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; • ჩამდინარე წყლების დაგროვების/დამუშავების სისტემის დანერგვასა და გაუმჯობესებას; • კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	დღევანდელი მდგომარეობით სამტრედიაში, ვანსა და ბაღდათში არსებული კომუნალური ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს გარემოს დაცვის, წყალმომარაგებით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და წყლის რესურსების საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილს აქვს წვდომა ცენტრალიზებულ წყალმომარაგებაზე, ქალაქების მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას კვლავაც გრაფიკით მიეწოდება წყალმომარაგება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნულ ქალაქებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კერძოდ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, სიღარიბის დონესა და მოსახლეობის რაოდენობის კლებაზე
<i>შეფასების პერიოდი</i>	18 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>	-	257,600,000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები</i>	1,668,011 ლ	2,975,030 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი</i>	891,485 ლ	2,402,631 ლ
<i>NPV¹¹</i>	-4,932,17 ლ	-212,635,79 ლ
<i>IRR¹²</i>	#NUM!	-21%

¹¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

¹² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

<i>E/NPV</i>		28,109,000 ლ
<i>E/IRR</i>		9.4%

4. აჭარაში მუნიციპალური მყარი ნარჩენების მექანიკური ბიოლოგიური დამუშავება (MBT)

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	აჭარაში მუნიციპალური მყარი ნარჩენების მექანიკური ბიოლოგიური დამუშავება (MBT)
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>MBT - მექანიკური ბიოლოგიური დამუშავება არის მყარი ნარჩენების დამუშავების დადასტურებული ტექნოლოგია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მექანიკურ და ბიოლოგიურ საფეხურებს, სადაც ხდება ბიოდეგრადირებადი მასალის სტაბილიზაცია, გადამუშავებადი მასალების აღდგენა და/ან კომპოსტირება, აგრეთვე ნაგვის წარმოშობის საწვავის (RDF) წარმოება. ამ დამუშავების მთავარი შედეგია ნაგავსაყრელებზე მიმავალი ნარჩენების მოცულობის, ასევე მისი ემისიის პოტენციალის მნიშვნელოვნად შემცირება, რაც გამოიწვევს მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას. პროექტის კომპონენტები:</p> <ol style="list-style-type: none"> მექანიკური დამუშავება <ul style="list-style-type: none"> • გადამუშავებადი მასალების დახარისხება; • ბიოლოგიური ფრაქციების გაცრა; • ხელისშემშლელი კომპონენტების აღმოფხვრა. ბიოლოგიური დამუშავება <ul style="list-style-type: none"> • სტაბილიზაცია (კომპოსტირების მსგავსი პროცედურა) შემდეგი მიზნებისთვის: <ul style="list-style-type: none"> o რაოდენობის შემცირება; o ემისიის შემცირება; • ბიოგამოშრობა RDF საწვავის მიღების მიზნით
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>ცეცხლაურის ახალი ნაგავსაყრელი 20 წლიანი ფუნქციონირებისთვის იყო გათვლილი, თუმცა აჭარაში წარმოქმნილი ნარჩენის გაზრდილი რაოდენობისა და გურიის რეგიონიდან ნარჩენების ცეცხლაურის ნაგავსაყრელზე მოხვედრის გამო, მოსალოდნელია ნაგავსაყრელის სიცოცხლის ხანგრძლივობის განახევრება. მექანიკური ბიოლოგიური დამუშავების (MBT) მთავარი მიზანია, მნიშვნელოვნად შეამციროს ნაგავსაყრელზე მოხვედრილი ნარჩენების რაოდენობა და მისი ემისიები (გაჟონვა და გაზი). შედეგად, MBT მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს ნაგავსაყრელის სასიცოცხლო ციკლს და</p>

	გარდა ამისა, MBT-ის დანერგვა ზრდის გადამუშევაბადი მასალების აღდგენის წილს, რაც ხელს უწყობს საქართველოს გადამუშავების მიზნების მიღწევას.
<i>შეფასების პერიოდი</i>	20 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	მყარი ნარჩენების დამუშავება
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>	-	52,706,200.0 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები</i>	2,977,748.6 ლ	19,444,912.7 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი</i>	1,626,186.9 ლ	10,088,067.5 ლ
<i>NPV¹³</i>	-11,318,572.1 ლ	-75,190,888.0 ლ
<i>IRR¹⁴</i>	#NUM!	#NUM!
<i>B/C¹⁵</i>	0.59	0.65
<i>E/NPV</i>		131,002,263.0 ლ
<i>E/IRR</i>		75%

5. საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი (GRAIL)

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი (GRAIL)
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუსტიციის სამინისტრო/საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	პროექტს სამი კომპონენტი აქვს: <ul style="list-style-type: none"> • 1-ელი კომპონენტი „მდგრადი სარწყავი სოფლის მეურნეობა“ • მე-2 კომპონენტი „სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის გაუმჯობესება“; • მე-3 კომპონენტი „პროექტის მართვა“
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	საქართველოში სოფლის მეურნეობის, წყლის და მიწის სექტორების პრობლემები და შესაძლებლობები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამ პროექტის მიზანია იმ სამი ძირითადი პრობლემის ერთდროულად გადაჭრა, რომელიც ხელს უშლის საქართველოს სოფლის მეურნეობის ზრდას:

¹³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

¹⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

¹⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>(1) ურწყავ სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულება, რაც ამჟამად კლიმატთან დაკავშირებულ რისკებს, განადგურებული საირიგაციო ინფრასტრუქტურა, რომლის გამოც შეუძლებელია ფერმერებისთვის სათანადო საირიგაციო მომსახურების გაწევა;</p> <p>(2) სარწყავი სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა შიდასამეურნეო საირიგაციო აღჭურვილობაში, მაღალი ღირებულების სს კულტურების აგროტექნოლოგიებში ინვესტიციების სიმცირის, ასევე აგრობიზნესების და სავაჭრო სექტორის მცირე პოტენციალის გამო;</p> <p>(3) სასოფლო-სამეურნეო მიწების არაეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს შემოსავლებს, კომერციულ სოფლის მეურნეობაში ინვესტირება მცირეა, სამოვრები ნადგურდება და სასოფლო-სამეურნეო წარმოება დაბალპროდუქტიულია.</p>
<i>შეფასების პერიოდი</i>	30 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	ირიგაცია + ღირებულების ჯაჭვები	ირიგაცია + ღირებულების ჯაჭვები + მიწა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>	341,088,000.0 ლ	408,000,000.0 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები</i>	23,787,324.2 ლ	26,017,724.2 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი</i>	88,617,256.1 ლ	94,161,993.5 ლ
<i>NPV¹⁶</i>	249,968,000.0 ლ	275,808,000.0 ლ
<i>IRR¹⁷</i>	13.3%	13.5%
<i>B/C¹⁸</i>	1.7	1.6

6. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მოდერნიზაცია (EIB, AFD)

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მოდერნიზაცია (EIB, AFD)
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	კაპიტალური ინვესტიცია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მოდერნიზაციაში: ძირითადი არხების, მეორადი და მესამე არხების ქსელებში და საკონტროლო

¹⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

¹⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

¹⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>სტრუქტურებში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და სარწყავი წყლის ადეკვატური, დროული და საიმედო მიწოდების მისაღწევად 19,000 ჰა-ზე მეტი მიწისთვის, რომელიც შესაფერისია სარწყავი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის, კონკრეტული მოდერნიზაციის მიდგომა მოითხოვს მცირე რემონტს ცალკეული კომპონენტების რეკონსტრუქციის დასასრულებლად, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - მცირე სამუშაოები პალდოს სათავე ნაგებობაზე; - ზედა მთავარი არხის, ქვედა მთავარი არხის და ლილო-მარტყოფის მთავარი არხის შემოხაზული არხის მონაკვეთების შეკეთება და დარჩენილი თიხის მონაკვეთის მოპირკეთება. მოდერნიზაცია განიხილება მხოლოდ სოფელ მარტყოფამდე; - მეორადი და მესამეული ღია არხის გამანაწილებელი სისტემების გადაფორმება და მოპირკეთება და მილსადენების დამონტაჟება მესამეულ გამანაწილებელ სისტემაში, სადაც ეს შესაძლებელია; - საჭიროებისამებრ, მეორადი განაწილების სისტემაში გასასვლელების უზრუნველყოფა, მათ შორის სოფლებში, საჭიროებისამებრ; - მესამეული ერთეულის წყლის განაწილების განვითარება ღია არხების სისტემებით ან ზეწოლის ქვეშ არსებული მილების სისტემებით, საჭიროების შემთხვევაში; - სოფლებისკენ მიმავალი მესამე/კვარტალური არხების ინვესტიცია; - სადრენაჟე სისტემების სარემონტო სამუშაოები; - კონტროლისა და მონიტორინგის სისტემები
<p><i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i></p>	<p>ზემო სამგორის სარწყავი სისტემას აქვს სავარაუდო საპროექტო ფართობი თითქმის 30,000 ჰა, საიდანაც პოტენციური სარწყავი ფართობი შეადგენს 19,129 ჰა-ს. ბოლო წლებში, მხოლოდ დაახლოებით 6000 ჰა, ანუ პოტენციური სარწყავი მიწის ფართობის ერთი მესამედი იყო დადებული სარწყავი წყლით მომარაგებისთვის, სიმინდის, ბალახის/იონჯის და ბადის კულტურების გაშენებისთვის. ძირითადი, მეორადი და მესამე არხების ქსელებისა და საკონტროლო სტრუქტურების ძლიერ დანგრეულმა მდგომარეობამ, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური და ინვესტიციების ნაკლებობით, გამოიწვია არასანდო სარწყავი წყლით მომარაგება, წყლის მაღალი დანაკარგები, რაც დაემატა მცირე ინვესტიციას ფერმაში თანამედროვე სარწყავ ტექნიკაში.</p> <p>შედეგად, ფერმერები არ შეიძლება დაეყრდნონ რწყვას მოსავლის წარმოებისთვის და ისინი დამოკიდებულნი არიან წვიმიანი სოფლის მეურნეობაზე და მეცხოველეობის</p>

	ფართო მოვებაზე. ზოგიერთ ფერმერს მიწების მიტოვება მოუწია. შედეგად, ფერმერები მოსავლის წარმოებისთვის მორწყვას ვეღარ დაეყრდნობოდნენ. ამიტომ, ისინი დამოკიდებულნი იყვნენ წვიმიანი სოფლის მეურნეობაზე და მეცხოველეობის ფართო მოვებაზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში ბევრ ფერმერს მოუწია ნაყოფიერი მიწის მიტოვება დიდი ურბანული ცენტრების (თბილისი და რუსთავი) სიახლოვის მიუხედავად, სადაც ბაზრებია განთავსებული. ამ ფერმერებს აღარ შეეძლოთ დაეყრდნოთ ძალიან უხარისხო სარწყავი სისტემას მდგრადი მოსავლის კულტივირებისთვის და შემოსავლის შესაქმნელად.
<i>შეფასების პერიოდი</i>	35 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	მყარი ნარჩენების დამუშავება
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>	-	368,261,937.0 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები</i>	926,399.0 ლ	18,531,897.3 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი</i>	15,989,405.4 ლ	71,191,108.5 ლ
<i>NPV¹⁹</i>	174,126,370.1 ლ	176,117,354.0 ლ
<i>IRR²⁰</i>	#NUM!	12,9%
<i>B/C²¹</i>	17,9	1.59
<i>E/NPV</i>		201,971,174.9 ლ
<i>E/IRR</i>		14,3%

7. გუდაურის გათოვლიანების მესამე ფაზა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	გუდაურის გათოვლიანების მესამე ფაზა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	გათოვლიანების ახალი სისტემა რომელიც დამონტაჟდება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტრასებზე (სოლიკო და სპორტული) მოგვცემს საშუალებას ტრასების გათოვლიანება დავიწყოთ პირველი ყინვის დადგომისას. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფს სეზონის გახსნა გავხადოთ პროგნოზირებადი და სტაბილური. გუდაურში არსებული სასრიალო ტრასების დაახლოებით 25% იქნება

¹⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

²¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>თოვლით უზრუნველყოფილი რაც მოგვეცემს საშუალებას უთოვლობის პერიოდში კურორტმა იმუშავოს შეუფერხებლად. გათოვლიანებული ტრასით ისარგებლებს დაახლოებით 5000 დამსვენებელი დღის განმავლობაში. გათოვლიანების სისტემა მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაგისტრალური წყლის მილსადენის მოწყობა • საკომუნიკაციო ქსელის მოწყობა • ხელოვნური თოვლის წარმომქმნელი დანადგარების მონტაჟი ტრასის გასწვრივ • სანასოსე და სატუმბო სადგურების მშენებლობა • ტრასების მახასიათებლები: <p>o სოლიკო, საშუალო (ცისფერი) სირთული ტრასა სიგრძით 2917 მეტრი</p> <p>o სპორტული საშუალო (ცისფერი) სირთულის ტრასა სიგრძით 1856 მეტრი</p>
<p><i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i></p>	<p>უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საგრძნობლად იკლო ნალექმა გუდაურის ზამთრის კურორტზე, რაც შესაბამისად იწვევს თოვლის ნაკლებობას. რის შედეგადაც ვერ ხორციელდება სეზონის დროული გახსნა(10-20 დეკემბერი). ხშირია შემთხვევები როცა საკმარისი თოვლი მოდის მხოლოდ იანვარში რაც შესაბამისად გვაკარგინებს დამსვენებლების დიდ რაოდენობას რაც ცუდად აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.</p> <p>არსებული გათოვლიანების სისტემები არ არის საკმარისი იმისათვის უზრუნველყოს მთის სრულყოფილი მომსახურება და დააკმაყოფილოს მოთხილამურეების ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა.</p> <p>ხშიარია შემთხვევები როცა შუა სეზონის განმავლობაში განვიცდით თოვლის ნაკლებობას და საჭიროებს ხელოვნურად მის შევსებას. უკონტროლო კლიმატის ცვლილებების პირობებში, ინვესტიციის განხორციელების გარეშე აღნიშნული პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. ასევე აღსანიშნავია, რომ ხელოვნური გათოვლიანების სისტემები გვაძლევს საშუალებას დავაკმაყოფილოთ FIS-ს მოთხოვნები და ვუმასპინძლოთ სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს. ნებისმიერი საერთაშორისო შეჯიბრება ზრდის კურორტის პოპულარულობას და ტურისტულ პოტენციალს.</p>
<p><i>შეფასების პერიოდი</i></p>	<p>15 წელი</p>

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	გათოვლიანების მესამე ფაზა
<p><i>მოთხოვნილი დაფინანსება</i></p>		<p>21,000,000.0 ლ</p>

საშუალო წლიური ხარჯები		132,575.6 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი		3,020,745.1 ლ
NPV ²²		-3 878 210,8 ლ
IRR ²³		6%
B/C ²⁴		0.89

8. ახალი გუდაური - სოლიკო საბაგირო გზის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ახალი გუდაური - სოლიკო საბაგირო გზის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	<p>ახალი საბაგიროს ქვედა სადგური განთავსებული იქნება ახალ გუდაურში, გუდაურას მიმდებარედ. აღნიშნული ტერიტორიდან დღესდრეობით მოხვედრა შესაძლებელია: კობის გადასვლელებზე, სნოუ პარკში, შინოს ტრასაზე და კუდების ქვედა სადგურზე. სოლიკოს ზედა სადგურთან და ძველ კუდებთან გადასვლა საკმაოდ რთულია და საჭიროებს კიდევ ერთი დამატებით საბაგიროს გამოყენებას. სოლიკოს ზედა სადგურზე განთავსებულია, სამაშველო, ბიგელი-ბომბორა და რამოდენიმე პოპულარული ტურისტული ობიექტია. სოლიკოს ზედა სადგურთან მდებარე პლატო საკმაოდ პოპულარული ადგილია დამსვენებლებისთვის სასიამოვნო ხედებით და მოსასვენებელი ადგილებით. ახალი საბაგირო დამსვენებელს მისცემს საშუალებას პირდაპირ მოხვდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე.</p> <p>გაიზრდება კურორტის ტურისტული პოტენციალი და დადებითად აისახება საერთაშორისო იმიჯზე. ახალი საბაგიროს გამტარუნარიანობა იქნება 2800-3200 კაც/საათი. ზამთრის სეზონზე, პიკური დატვირთვის დროს საბაგიროს დღის განმავლობაში შეეძლება 6000 ვიზიტორის გადაყვანა. ახალი საბაგირო გზის დამატებისა და ახალი ტრასების წარმოქმნის შედეგად მოხდება არსებული სასრიალო ტრასების განტვირთვა, გაიზრდება კმაყოფილ ვიზიტორთა რაოდენობა.</p>

²² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

²⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

<p>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</p>	<p>გუდაურში ყოველწლიურად იზრდება მოთხილამურეთა რაოდენობა და არსებული სასრიალო ტრასები ვერ უზრუნველყოფ მზარდი რაოდენობის გატარებას. აქედან გამომდინარე კურორტი საჭიროებს დამატებით სასრიალო ტრასებსაც, სწორედ აღნიშნული პრობლემების საპასუხოდ უნდა მოხდეს დაახლოებით 2200 მეტრიანი ბაზლის ტიპის საბაგიროს დამატება.</p> <p>ახალი საბაგირო გზა მნიშვნელოვნად განტვირთავს კურორტს, განსაკუთრებით ახალი გუდაურში გუდაურას საბაგიროს. ახალი საბაგირო მოგვცემს საშუალებას გაკეთდეს დამატებითი სასრიალო გზა და მომავალში მოხდეს ახალი ლოკაციების განვითარება სტუმარმასპინძლობის სექტორისთვის.</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა პირდაპირ კავშირშია კურორტის განვითარებასთან. აღნიშნული ინვესტიცია გაზრდის კურორტის საერთაშორისო იმიჯსს, აამაღლებს ვიზიტორთა კმაყოფილებას, რაც მომავალში მოიზიდავს მეტ დამსვენებელს.</p>
<p>შეფასების პერიოდი</p>	<p>15 წელი</p>

<p>პროექტის ფინანსური მახასიათებლები</p>		
	<p>არაფრის კეთება</p>	<p>გათოვლიანების მესამე ფაზა</p>
<p>მოთხოვნილი დაფინანსება</p>		<p>41,000,000.0 ლ</p>
<p>საშუალო წლიური ხარჯები</p>		<p>448,351.4 ლ</p>
<p>საშუალო წლიური შემოსავალი</p>		<p>6,198,197.1 ლ</p>
<p>NPV²⁵</p>		<p>-4 714 081,4 ლ</p>
<p>IRR²⁶</p>		<p>7%</p>
<p>B/C²⁷</p>		<p>0.97</p>

9. მულახი-თეთნულდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია

²⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

²⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

<i>პროექტის დასახელება</i>	მულახი-თეთნულდის დამაკავშირებელი საბაგრო გზის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>ახალი საბაგრო გზით პირდაპირ მოხდება მულახის თემის 4 სოფლის, მაჯვდიერი, ცალდაში, ჩვაბიანი, ჟაბეში და ასევე მიმდებარე სხვა სოფლების, თეთნულდის კურორტთან დაკავშირება, მოხდება მნიშვნელოვანი ტურისტული ნაკადების გადმოსროლა დაბა მესტიიდან მულახის თემში, რაც გაზრდის ზემოაღნიშნული სოფლების მაცხოვრებლების სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას. გამომდინარე იქედან რომ საბაგრო გზა იქნება უმოკლესი გზა კურორტ თეთნულდამდე, ახალი საბაგრო გზა შეამცირებს კურორტამდე გადაადგილების დროს 60 წუთიდან 10 წუთამდე. გადაადგილება გახდება უსაფრთხო და კომფორტული.</p> <p>საბაგროს გამტარუნარიანობა იქნება 2800-3200 კაც/საათი. ზამთრის სეზონზე, პიკური დატვირთვის დროს საბაგროს დღის განმავლობაში შეეძლება 6000 ვიზიტორის გადაყვანა. პროექტი მოიცავს მულახის თემიდან კურორტ თეთნულდამდე საბაგრო გზის მოწყობას. საბაგროს ქვედა სადგურთან განთავსდება პარკინგი, რომელიც მოემსახურება დაახლოებით 1000-1200 ავტომანქანას. საბაგრო გზის საშუალებით კურორტზე მოხვედრა გახდება კომფორტული, სწრაფი და უსაფრთხო, რაც დადებითად აისახება კურორტის იმიჯზე და მოგვცემს საშუალებას მოვიზიდოთ დამატებით ვიზიტორები.</p>
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>დღეის მდგომარეობით მულახის თემის სოფლები ნაკლებად არის ჩართული თეთნულდის კურორტის ტურისტული მომსახურების მიმართულებით. დაბა მესტიაში ტურისტული ინფრასტრუქტურა უფრო განვითარებულია ვიდრე მულახის თემში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მულახის თემის სოფლების მოსახლეობის დაბალ სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, გამომდინარე იქედან რომ კურორტის ვიზიტორები უპირატესობას ანიჭებენ მესტიის ტურისტული ინფრასტრუქტურით სარგებლობას. მესტიიდან კურორტ თეთნულდამდე არსებული გზა შეადგენს 19 კმ. გზის 6 კილომეტრიანი მონაკვეთი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული. გართულებულია გზის წმენდის სამუშაოები. გართულებულია გადაადგილება, ხშირად არის ავტო ავარიები, რაც იწვევს გზის ჩაკეტვას და კურორტამდე წვდომის შეზღუდვას. იზრდება დამსვენებელთა უკმაყოფილება.</p>

შეფასების პერიოდი	15 წელი
-------------------	---------

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	გათოვლიანების მესამე ფაზა
მოთხოვნილი დაფინანსება		55,000,000.0 ლ
საშუალო წლიური ხარჯები		362,900.3 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი		6,900,626.8 ლ
NPV ²⁸		-16 630 884,9 ლ
IRR ²⁹		4%
B/C ³⁰		0.77

10. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტის რეალიზაცია მთლიანად მოხსნის არსებულ პრობლემებს; სტიმულს მისცემს კოლეჯის როგორც სასწავლო და შემოქმედებითი დაწესებულების განვითარებას, მის ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო სასწავლო და შემოქმედებით პროექტებში ჩართულობის ინტენსივობას, მოკლევადიანი საერთაშორისო პროგრამების განვითარებას, სტუდენტური ტელე-რადიო მაუწყებლობის ამოქმედებას, მძლავრი სტუდენტური მედია ცენტრის ფორმირებას.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დადასტურების მიუხედავად კოლეჯი ვერ ახორციელებს 6 მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამას. ფართის სიმცირის გამო დაპაუზებულია მედია ბაზარზე მოთხოვნილი კვალიფიკაციებისთვის (განათლების ტექნიკოსი, ხმის ოპერატორი, საინფორმაციო პროგრამების

²⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

²⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

³⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>პროდიუსერი, სატელევიზიო სივრცის დიზაინერი, ანიმატორი) სტანდარტული და ინტეგრირებული პროგრამების რეალიზაცია. კოლეჯი ვეღარ მონაწილეობს სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი დაწყებითი უნარების განვითარების პროექტშიც. ჯამში, ყოველწლიურად კოლეჯს აკლდება 150-180 სტუდენტი, რომლებზეც მოთხოვნა დარგიდან მუდმივად იზრდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კოლეჯი წარმოადგენს ქვეყანაში ამ მიმართულების ერთადერთ სასწავლო დაწესებულებას. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კოლეჯის აფილირება ზრდის მასზე საზოგადოების დაკვეთას.</p> <p>ორ ცვლაში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად ხდება A, B და C სასწავლო გარემოს ცვლილება საერთო ფართის იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილია სწავლისთვის და შეადგენს 302,4კვ.მ-ს. დერეფანს უკავია 120კვ.მ-ზე მეტი ფართი. 110 კვ.მეტრამდე ფართს იკავებს ტექნიკური, დამხმარე, სანიტარულ ჰიგიენური სათავსოები და ადმინისტრაცია. გასული საუკუნის 40-ან წლებში აგებული ამ შენობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი თუნდაც ერთი ნაწილის გადაკეთება (ფართის მომატება, ჭერის ამაღლება სატელევიზიო, ფოტო, აუდიო და საინკრუსტაციო სტუდიებისთვის ან სართულის დაშენება) და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების სრული დაკმაყოფილება. მხოლოდ ბოლო მიზეზის გამო, ავტორიზაციის ახალი სტანდარტის მიხედვით, 31 წლის ისტორიის მქონე კოლეჯი 2024 წელს სავარაუდოდ ავტორიზაციას ვეღარ გაივლის.</p>
შეფასების პერიოდი	17 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	ტელე-ხელოვნების კოლეჯის მშენებლობა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>	-	22,948,000.0 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები</i>	1 330 835,5 ლ	1 657 488,4 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი</i>	1 352 258,1 ლ	2 175 466,3 ლ
<i>NPV³¹</i>	1 124 257,03 ლ	-15 452 851,67 ლ
<i>IRR³²</i>	#NUM!	#NUM!

³¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

³² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

<i>B/C</i> ³³	1.12	0.51
--------------------------	------	------

11. დიდმის ჭალების საქალაქო პარკი

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	დიდმის ჭალების საქალაქო პარკი
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	თბილისის განვითარების ფონდი
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>პარკის ტერიტორია მდებარეობს დედაქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ე.წ. „დიდმის ჭალებში“, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ტერიტორიის დიდი ნაწილი მტკვრის სანაპიროს მიუყვება. მისი ფართობია 85000 მ2. პარკის დანარჩენი ნაწილი მდინარეში მდებარე კუნძულია, ფართობით- 65000 მ2, რომელიც განსაკუთრებულ ლანდშაფტურ და რეკრეაციულ ღირებულებას ანიჭებს ამ ადგილს. ასევე, აღსანიშნავია კუნძულის ხელუხლებელი ბუნება, რომელიც უნიკალური ეკოსისტემით ერთგვარ ველურ ბუნებასთან დამსვენებელთათვის შეხების საშუალებას იძლევა. პარკში მოხვედრა შესაძლებელია ბელიაშვილის ქუჩის მხრიდან, საიდანაც ხვდებით ახალი დილომი-გლდანის ხიდის მარცხენა მხარეს. პარკის შესასვლელში ორი ავტოსადგომია ფართობებით- 1220 მ2 და 680 მ2. პარკის ტერიტორიაზე დაპროექტებულია: პარკში საფეხმავლო შესასვლელი; პარკის ავტოსადგომში საავტომობილო შესასვლელი; ავტოსადგომი ფართობით 1220 მ2; პარკის მეორე ავტოსადგომი ფართობით 680 მ2; ერთსართულიანი ამფითეატრი, მედიათეკისა და მათზე მიდგმული ერთსართულიანი კაფე-პავილიონი (ორივეს ფართობია 2280 მ2) საბავშვო გასართობი სივრცე ფართობით 1580 მ2; ხელოვნური ტბა ფართობით 2100 მ2; ძაღლების სასეირნო სივრცე ფართობით 600 მ2; კუნძულზე მოსახვედრი საფეხმავლო ხიდი სიგრძით 110 მეტრი, ასევე მტკვრის მეორე ნაპირზე კუნძულიდან გადასასვლელი ხიდი სიგრძით 60 მეტრი; ხიდის მარცხენა მხარეზე დაპროექტებულია სკვიტ პარკი ფართობით 1100 მ2; ასევე სპორტული მოედანი ფართობით 880 მ2; სალექარი-ფილტრი და სატუმბო სადგური მდ. მტკვრის წყლით ხელოვნური ტბის შესავსებად; ბელიაშვილის ქუჩის მხრიდან წოწორას ხევი ექცევა კალაპოტში 380 მეტრ სიგრძეზე; მდინარე მტკვრის გასწვრივ ეწყობა ნაპირსამაგრი კედელი მონოლითური რკინაბეტონით 600 მეტრ სიგრძეზე;</p>

³³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>აგრეთვე, ბერმი. პარკის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ორი ამოსახაპი ორმო ბიოჩეტერების დასადგმელად.</p> <p>მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე პარკის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ეწყობა გამწვანება მრავალწლიანი ხეებითა და გაზონებით. საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია არსებული სივრცის ფიზიკური აქტივობებისთვის მაქსიმალურად ათვისება, რაც არა მარტო მიმდებარე უბნებისთვის, არამედ თბილისის ყველა მაცხოვრებლისთვის მულტიფუნქციურ სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელ კერად შეიძლება იქცეს. სპორტული მოედნები, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებისთვის არის განსაზღვრული, დამსვენებელს, ბუნებასთან ინტეგრირებით, ფიზიკური დატვირთვის მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს.</p>
<p><i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i></p>	<p>ტერიტორია (საკვლევი მოედანი) მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რომელიც მდინარე მტკვრის I ჭალის ტერასაა. სამშენებლო მოედნის ფარგლებში რელიეფი ტექნოგენურია და უსწორმასწორო ზედაპირი აქვს. ამ ეტაპზე დიდი ჭალები ნაგავსაყრელია, სადაც გვხვდება სამშენებლო, აგურის, ბეტონის და საყოფაცხოვრებო ნარჩენები.</p> <p>ტერიტორიის შესწავლისას გამოვლინდა, რომ საკვლევი მოედანი აუთვისებელი და გაუნაშენიანებელია, ასევე, აქტიურად გადაადგილდება ქვა-ღორღითა და სამშენებლო ნარჩენებით დატვირთული სატვირთოები, რომლებიც აბინძურებს გარემოს და დისკომფორტს უქმნის მიმდებარე დასახლებას.</p> <p>დიდი ჭალების შემოგარენში გვხვდება სამშენებლო მასალის სასაწყობო და ავტომობილების შემკეთებელი დაწესებულებები, რომლებიც ფუნქციურად სრულიად შეუსაბამოა არსებული ლანდშაფტის ფუნქციური დანიშნულებისა და პოტენციური რეკრეაციული სივრცისთვის. მოცემულ დასახლებულ ტერიტორიას, უახლოეს პერიმეტრში, არ გააჩნია რეკრეაციული, კეთილმოწყობილი გამწვანებული სივრცე. ასევე თბილისის ამ უბანში არ არის მსგავსი ფართობის და დატვირთვის მქონე პარკი, სადაც ადამიანები შეძლებენ დასვენებას, განტვირთვას და მიიღებენ იმ მომსახურებას რასაც ზოგადად პარკი უნდა სთავაზობდეს მათ.</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნული არაჯანსაღ და ესთეტიურად არამიმზიდველ გარემოს ქმნის მოსახლეობისთვის.</p>
<p><i>შეფასების პერიოდი</i></p>	<p>15 წელი</p>

პროექტის ფინანსური მახასიათებლები

	არაფრის კეთება	დიდმის ჭალების საქალაქო პარკი
<i>მოთხოვნილი დაფინანსება</i>		13 285 186 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები</i>		1,450,216.4 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი</i>		2,054,636.1 ლ
<i>NPV³⁴</i>		-15,569,967.56 ლ
<i>IRR³⁵</i>		#NUM!
<i>B/C³⁶</i>		0.00
<i>E/NPV</i>		495,122.81 ლ
<i>E/IRR</i>		9%
<i>E/B/C</i>		1.10

³⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

³⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

³⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტები.

საინვესტიციო პროექტების მეთოდოლოგიის მიხედვით მომზადებული ფინანსური და ეკონომიკური გაანგარიშებების მიხედვით პროექტები არ არის მომგებიანი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია სოციალურად მნიშვნელოვანია, ქმნის საზოგადოებრივ სიკეთეს და მათი განხორციელებით გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი შეეწყობა ეკონომიკურ განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია განათლების უწყვეტი და მდგრადი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ასაკის ადამიანის განვითარებას, მისთვის როგორც სრულფასოვანი ცოდნის მიწოდებას, ასევე ამ ცოდნის შემოქმედებითი დამუშავების და პრაქტიკული გამოყენების უნარებით აღჭურვასაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობისა და რეაბილიტაციისთვის შესაბამისი სახსრები არსებული ფისკალური რესურსის ფარგლებში ყოველწლიურად გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში.

1. ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარე/დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	პროექტის განხორციელების შედეგად 450-მდე ბენეფიციარი ისწავლის ერთ ცვლაზე, გადაწყდება ყოველწლიურად სკოლაში ჩარიცხვის მსურველთა პრობლემა და რაც მთავარია, ერთი ოჯახიდან გამოსული მოსწავლეების ერთ ცვლაზე გადანაწილებით სოციალურად დაუცველ ოჯახების (ასეთი კონტინგენტის 80%-ია) მშობლებს საშუალება მიეცემათ იმუშაონ, რასაც ვერ ახერხებდნენ ცვლიანობის გამო. მოსწავლეებს კი ტიპურ საგანმანათლებლო შენობაში ექნებათ უსაფრთხო კომფორტული სასწავლო გარემო. სკოლას დაეზოგება ვაუჩერული დაფინანსებით მიღებული თანხები, რომლებიც ხმარდება იჯარას. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს თემიც, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და დევნილების ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციას.

<p>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</p>	<p>სსიპ-ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის #11 საჯარო სკოლა 1998 წლიდან ფუნქციონირებს ქ. ზუგდიდში იჯარით აღებულ შენობაში. უკანასკნელ პერიოდში იჯარის ხარჯები გასამმაგდა (გახდა 15 000 ლარი წლიურად), რასაც სკოლის ბიუჯეტი ხანგრძლივად ვერ გასწვდება. საყურადღებოა ის, რომ შენობა არასაგანმანათლებლო დანიშნულებისაა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვა ვერ ხერხდება: არ არის ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი/მოედანი, სააქტო დარბაზი, სრულყოფილი ადაპტირებული შშმ მოსწავლეებისათვის, სკოლის შენობის ფართი (800 მ2), არ იძლევა სკოლაში სწავლის მსურველთა გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებას. ორ ცვლაზე მოსწავლეთა კონტინგენტი 450-მდეა და ყოველწლიურად 50-60 ბენეფიციარის განცხადება დაუკმაყოფილებელი რჩება, რადგან შენობის ფართი არ იძლევა კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობას. სკოლა ზამთრის პერიოდში თბება ელექტრომახურებლებით, მაგრამ ამორტიზირებული ხის კარ-ფანჯრები ვერ უზრუნველყოფს საკლასო ოთახებში სითბოს შენარჩუნებას, არ არის საკმარისი თითო მოსწავლეზე სტანდარტით გათვალისწინებული საკლასო ფართი, რაც ინდივიდუალური მერხების გამოყენების საშუალებასაც არ იძლევა.</p>
<p>შეფასების პერიოდი</p>	<p>15 წელი</p>

<p>პროექტის ფინანსური მახასიათებლები</p>		
	<p>არაფრის კეთება</p>	<p>სკოლის აშენება</p>
<p>მოთხოვნილი დაფინანსება³⁷</p>	<p>-</p>	<p>8,501,000 ლ</p>
<p>კაპიტალური ხარჯი</p>	<p>-</p>	<p>8,000,000 ლ</p>
<p>საშუალო წლიური ხარჯები³⁸</p>	<p>911,261.1 ლ</p>	<p>802,833.8 ლ</p>
<p>საშუალო წლიური შემოსავალი³⁹</p>	<p>649,461.5 ლ</p>	<p>670,704.1 ლ</p>

³⁷ ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 8,501,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 8 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 225 500 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი-240 000 ლარი

³⁸ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი, შენობის იჯარა,

³⁹ შემოსავალში შედის: იჯარიდან მიღებული შემოსავალი, ვაუჩრული დაფინანსება

<i>NPV</i> ⁴⁰	-1,949,992.41 ლ	-7,777,463.84 ლ
<i>IRR</i> ⁴¹	#NUM!	#NUM!
<i>B/C</i> ⁴²	0.75	0.38

2. ქალაქ აბაშის №2 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ქალაქ აბაშის №2 საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარეჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	სსიპ - ქალაქ აბაშის N2 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია 450 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის შენობის აშენება. მოსწავლეებს ექნებათ ინოვაციური, ენერგო ეფექტური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სწავლა - სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს. მოსწავლეებს ექნებათ სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა კომფორტულ და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში. ეს შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იქნება როგორც ქალაქის, ასევე სოფელში მცხოვრები მოსწავლეებისათვის.
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	სსიპ - ქალაქ აბაშის N2 საჯარო სკოლაში სწავლობს 300 მოსწავლე. 1934 წელს (აგურით აშენებული) სსიპ - ქალაქ აბაშის N2 საჯარო სკოლა პატარა, 2- სართულიანი შენობაა, არასტანდარტული, მცირე ზომის ოთახებით, ვიწრო დერეფნებით. სკოლის მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია, რადგან არა აქვს შემდეგი საჭიროების ფართები: სააქტო დარბაზი, სტანდარტული ზომის სასადილო, კრიტიკულად ავარიულია სპორტული დარბაზი; საკლასო ოთახების უმეტესობა მცირე ზომისაა (35-40 კვ2მ) ; საგნობრივი კაბინეტების არარსებობა, რაც შეეხება საბუნებისმეტყველო კაბინეტს-არარენტაბელურია ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის; საპირფარეშოების რაოდენობაც მცირეა.

⁴⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁴¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁴² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>ასეთი ვითარების გამო სკოლა ყოველ წლიურად ზღუდავს ახალი კონტიგენტის მიღებას, თუმცა სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია. ამჟამად სკოლას ყავს 300 მოსწავლე, ფართის დეფიციტი უარყოფითად აისახება მშობლებისა და მოსწავლეების განწყობაზე. მშობლები აპროტესტებენ იმასაც, რომ მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილებზე მცირე ზომის საკლასო ოთახებში უწევთ ვარჯიში; ხელი ეშლება სკოლაში სპორტული აქტივობების ჩატარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. საჭიროა ახალი შენობა სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის და სკოლის უსაფრთხო ფიზიკური გარემოსათვის. ამისთვის აუცილებელია საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები, საგნობრივი კაბინეტები, სააქტო დარბაზი, კვების ობიექტი, სპორტული დარბაზი და ა. შ.</p> <p>გასათვალისწინებელია ის გარემოც, რომ წინა საუკუნეში აშენებული სკოლა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სეისმური ნორმების მოთხოვნებს.</p> <p>მსოფლიო ბანკის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q“ პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა ჩვენი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებას. კვლევის ანგარიშის მიხედვით სსიპ - ქალაქ აბაშის N2 საჯარო სკოლის შენობის აღდგენა ჩაითვალა არარენტაბელურად. მხოლოდ სკოლის შენობის დემონტაჟი და სანაცვლოდ - ახალი შენობა.</p>
შეფასების პერიოდი	15 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	ახალი სკოლის აშენება
მოთხოვნილი დაფინანსება⁴³	-	-	7,468,000 ლ
კაპიტალური ხარჯი	-	-	7,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები⁴⁴	716,171.6 ლ	1,008,976.8 ლ	591,548.5 ლ

⁴³ ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 7,468,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 7 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 225 500 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი-210 000 ლარი

⁴⁴ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

საშუალო წლიური შემოსავალი ⁴⁵	520,027.9 ლ	520,027.9 ლ	492,846.5 ლ
<i>NPV</i> ⁴⁶	-1,442,647.89 ლ	-6,165,138.81 ლ	-6,877,324.56 ლ
<i>IRR</i> ⁴⁷	#NUM!	#NUM!	#NUM!
<i>B/C</i> ⁴⁸	0.77	0.43	0.34

3. ქალაქ ქუთაისის №4 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ქალაქ ქუთაისის №4 საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>პროექტის განხორციელების შედეგად, მოგვარდება ქალაქ ქუთაისში არსებული საჯარო სკოლების სიმცირის პრობლემა.</p> <p>აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო სკოლის შენობა, რომელიც დააკმაყოფილებს 400 მოსწავლეს. მოსწავლეებს ექნებათ გაცილებით უსაფრთხო, კომფორტული და პოზიტიური სასწავლო გარემო.</p> <p>ახალი სკოლის შენობა, სკოლისა და თემის თანამშრომლობის პროცესში, თავისი რეკრეაციული სივრცეებითა და ინფრასტრუქტურით გახდება საუკეთესო რესურსი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. შესაძლებელია შემდგომ სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიმართულების ინფრასტრუქტურის განვითარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის.</p>
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>სსიპ ქ.ქუთაისის N 4 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ქუთაისის ძველ უბანში, კერძო დასახლებაში. სკოლა ფუნქციონირებს 1936 წლიდან და მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს არა მარტო საქალაქო, არამედ რეგიონული თვალსაზრისით, როგორც ფრანკოფონული, ისე საკალთბურთო მიმართულებით .</p> <p>ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით სკოლის სამივე შენობას განცდილი აქვს ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა და ამორტიზებულია განსაკუთრებით შენობა N1 . არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სკოლის ექსპლუატაცია საფრთხის</p>

⁴⁵ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁴⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁴⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁴⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>შემცველია, სასწავლო კორპუსის დაზიანებითა და ფიზიკური ცვეთის გათვალისწინებით აღდგენა არარენტაბელურია და მიზანშეწონილი არაა.</p> <p>დღის წესრიგში დადგა დარჩენილი სასწავლო დღეების სრულად დისტანციურად გაგრძელების საჭიროება. ქ. ქუთაისის N4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობაა 232. საჯარო სკოლები, თავის მხრივ, გადატვირთულია, ალტერნატიული ფართი შეირჩა ახლო დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლაში. ახალი სასწავლო წლიდან, მეორე ცვლაში, წარიმართება სასწავლო პროცესი. სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მეტად არაკომფორტული მდგომარეობაა ხანგრძლივად უცხო სკოლაში გადასვლა. საშიშროებაა ტრანსპორტირების პროცესში დამატებითი პრობლემების შექმნის მიმართულებით, მძაფრდება პრობლემა პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების ფონზე, რადგან ალტერნატიული ფართის სახით შერჩეულ საჯარო სკოლაში იზრდება შენობაში მყოფი მოსწავლეების რაოდენობა და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარების სავალდებულო სიხშირე.</p>
შეფასების პერიოდი	15 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	სასწავლო კორპუსის მშენებლობა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება⁴⁹</i>	-	-	7,451,000 ლ
<i>კაპიტალური ხარჯი</i>	-	-	7,000,000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁵⁰</i>	828,614.2 ლ	1,097,671.1 ლ	732,957.9 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი⁵¹</i>	623,422.6 ლ	623,170.6 ლ	652,731.2 ლ
NPV⁵²	-1,469,656.98 ლ	-5,620,343.00 ლ	-6,715,979.70 ლ

⁴⁹ სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 7,451,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 7 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯი - 210 000 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი - 210 000 ლარი

⁵⁰ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი

⁵¹ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁵² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

<i>IRR</i> ⁵³	262%	#NUM!	#NUM!
<i>B/C</i> ⁵⁴	0.79	0.50	0.42

4. სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაკურიანის საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბაკურიანის საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>პროექტით ისარგებლებს 500- მდე მოსწავლე, 1000-მდე მშობელი და 45-მდე თანამშრომელი (მასწავლებელი, დირექცია, ადმინისტრაცია), ასევე სკოლის ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები ადგილობრივი საზოგადოება.</p> <p>როგორც ინფრასტრუქტურის მხრივ ასევე მოსწავლეთა კონტიგენტის მხრივ, სწავლა-სწავლების ხელშემწყობი ყველა პირობა იქნება მოგვარებული. დაცული იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება. შექმნილი იქნება ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო.</p> <p>პროექტით გათვალისწინებული სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს შეგვიწყობს სკოლის ავტორიზაციის დროს. აღნიშნული პროექტით მოგვარდება არამართო დაბა ბაკურიანის , არამედ ახლომდებარე სოფლის მოსახლეობის პრობლემა.</p>
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლის შენობა 2019 წელს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის მიხედვით შენობის ტექნიკური მდგომარეობა არაადაამაკმაყოფილებელია და მისი რეაბილიტაცია არარენტაბელურობიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი.</p> <p>ასევე არსებული ავარიული სკოლის შენობა გათვლილია 300 მოსწავლეზე. ამ ეტაპისათვის სკოლაში ირიცხება 348 მოსწავლე და 37 თანამშრომელი. დაბის მოსახლეობა მზარდია, რაც თავისთავად ზრდის მოსწავლეთა კონტიგენტს. სკოლის ფართი ვერ იტევს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც პრობლემას გვიქმნის მოსწავლეთა მობილობის დროს.</p>

⁵³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁵⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლაში სწავლობენ ახლომდებარე სხვადასხვა სოფელში მცხოვრები მოსწავლეების. (პატარა მიტარბის, დიდი მიტარბის, ციხისჯვარისა და ანდეზიტში მცხოვრები მოსწავლეები)</p> <p>ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სკოლის შენობის არარენტაბელურობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით აუცილებელი განხორციელდეს დაგეგმილი პროექტი (500 ბავშვზე გათვლილი სკოლის შენობა, წინა წლების სტატისტიკის გათვალისწინებით).</p>
<i>შეფასების პერიოდი</i>	15 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	ახალი სასწავლო კორპუსის აშენება
<i>მოთხოვნილი დაფინანსება⁵⁵</i>	-	-	7,485,400 ლ
<i>კაპიტალური ხარჯი</i>	-	-	7,000,000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁵⁶</i>	810,923.3 ლ	1,077,217.2 ლ	853,177.9 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი⁵⁷</i>	605,918.5 ლ	605,918.5 ლ	746,814.4 ლ
<i>NPV⁵⁸</i>	-1,483,728.54 ლ	-5,681,602.11 ლ	-6,903,625.90 ლ
<i>IRR⁵⁹</i>	#NUM!	#NUM!	#NUM!
<i>B/C⁶⁰</i>	0.79	0.49	0.45

⁵⁵ ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 7,485,400 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 7 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 240 000 ლარი, ხოლო ზედამხედველობის ხარჯია - 210 000 ლარი

⁵⁶ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

⁵⁷ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁵⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁵⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁶⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

5. სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლი მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლას აქვს საკმარისი მოცულობის მიწის ნაკვეთი, სადაც შესაძლებელია დაუყოვნებლივ დაიწყოს ახალი, თანამედროვე შენობის მშენებლობა,</p> <p>პროექტის შედეგად აშენდება ახალი, თანამედროვე სკოლის შენობა, რომელიც შექმნის უსაფრთხო და კომფორტულ სასწავლო გარემოს 650-მდე მოსწავლისთვის, 48 თანამშრომელისათვის და 1000-მდე მშობლისათვის.</p> <p>ასევე ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობაც, შესაძლებელი იქნება სპორტისა და დასვენების ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება. ახალი სკოლის აშენების პროცესში სასკოლო კონტიგენტს არ დასჭირდება ალტერნატიული ფართის მოძიება, რაც დიდი პრობლემაა მრავალი სკოლის შემთხვევაში და ასევე, ტრანსპორტირების დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ სემესტრში შეადგენს სავარარაუდოდ 65000 (სამოცდახუთათას) ლარს. სკოლაში პანდემიამდე ფუნქციონირებდა ცეკვის, ხატვის/ქარგვის, გახანგძლივებულის წრეებია, სადაც დასაქმებული იყო 5 ფიზიკური პირი, ასევე იჯარით გაიცემოდა ფართი კვების ობიექტისთვის, სადაც დასაქმებული იყო 1 ფიზიკური პირი. ყველა მოსწავლე და თანამშრომლები (470-მდე პირი) სარგებლობდა ბუფეტით, რაც შეეხება დანარჩენ წრეებს დაახლოებით 150 მოსწავლე იყო დაკავებული .</p> <p>სკოლის ჯამური წლიური შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 5000 ლარს.</p>
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო ექსპლუატაციას. სველ წერტილებში შესვლა შეუძლებელია, კედლები დაზარულია, ცვივა ფილები, იატაკი ჩავარდნილია. რაც საფრთხეს უქმნის ბავშვების სიცოცხლეს. მთლიანად სკოლის შენობა საფრთხის შემცველია, საჭიროებს დემონტაჟს.</p> <p>სკოლა სრულად დახურულია, გადაყვანილია სხვა სკოლის ბაზაზე. სკოლაში ამჟამად ირიცხება 409 მოსწავლე,</p>

	<p>ტრანსპორტირება დაკავშირებულია ორმაგ ხარჯებთან, სავარაუდოდ ერთ სემესტრში ტრანსპორტირების ხარჯი შეადგენს 65000 (სამოცდახუთიათას) ლარს და მუდმივად შეუძლებელი იქნება სხვა სკოლის ბაზაზე მეორე სემენაში სასწავლო პროცესის წარმართვა.</p> <p>სსიპ ქალაქ ხაშურის N4 საჯარო სკოლას აქვს საკმარისი ფართის მიწის ნაკვეთი, სადაც შესაძლებელია დაუყოვნებლივ დაიწყოს ახალი, თანამედროვე შენობის მშენებლობა, რათა არ გახდეს საჭირო სკოლის კონტიგენტის ალტერნატიულ ტერიტორიაზე გადაყვანა.</p>
შეფასების პერიოდი	15 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	სასწავლო კორპუსის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ⁶¹	-	-	12,674,000 ლ
კაპიტალური ხარჯი	-	-	12,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁶²	1,160,140.7 ლ	1,402,539.1 ლ	880,017.4 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁶³	731,275.5 ლ	731,275.5 ლ	712,085.8 ლ
NPV ⁶⁴	-3,438,212.44 ლ	-8,413,995.91 ლ	-11,551,627.69 ლ
IRR ⁶⁵	#NUM!	#NUM!	#NUM!
B/C ⁶⁶	0.66	0.44	0.31

⁶¹ სასწავლო კორპუსის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 12,674,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 12 000 000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 275 000 ლარი, ზედამხედველობის ხაჯი - 360 000 ლარი

⁶² ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი, მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯი

⁶³ შემოსავლებში შედის საჯარო სკოლის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁶⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁶⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁶⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

6. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის №1 საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის N1 საჯარო სკოლაში დღეის მდგომარეობით 306 მოსწავლეა, მათ შორის სოფელ მეტეხში დასახლებული სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების შვილები, ასევე შეიმჩნევა ყოველწლიურად მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა.</p> <p>იმისათვის, რომ სკოლამ შეძლოს თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად ფუნქციონირება ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია სკოლის ინფრასტრუქტურა.</p> <p>სკოლა პირველი შენობა აშენებულია 1895 წელს, ამის შემდეგ განხორციელდა სამჯერ მიშენება, 1910 წელს, 1961 წელს და 2002 წელს. ეს არის შეგუებული შენობა არასტანდარტული საკლასო ოთახებით, საკლასო ოთახების ფართი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია გაკვეთილებზე საჭირო ყველა აქტივობის განხორციელება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.</p> <p>სკოლამ ვერ უზრუნველყო პანდემიის რეგულაციების დაცვა (საკლასო ოთახში ერთმეტრიანი დისტანცია მოსწავლეთა შორის), ისე რომ არ გადასულიყო ორცვლიან სწავლებაზე და არ შემცირებულიყო საგაკვეთილო დრო. სკოლის შენობა და მისი ფართი არ იძლევა კაბინეტ-ლაბორატორიების არსებობის საშუალებას, რაც შესაძლებელს გახდიდა ექსპერიმენტების და კვლევების ჩატარებას მოსწავლეთა ჩართულობით და უსაფრთხოების წესების დაცვით, ყოველივე ეს სამწუხაროდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესზე და ხარისხზე.</p> <p>სკოლაში ფიზიკურად არ არსებობს სპორტული დარბაზი, გვაქვს მხოლოდ გარე სპორტული მოედანი, თუმცა ზამთრის პერიოდში (რაც გრძელდება თითქმის ხუთი თვის განმავლობაში) ფაქტობრივად ესეც გამოუყენებელია, რაც ხელს უშლის მოსწავლეთაა ჯანსაღი ცხოვრების და სპორტული კულტურის განვითარებას.</p> <p>სკოლის ინფრასტრუქტურა არ იძლევა ასევე საშუალებას მოეწყოს სკოლაში სტანდარტებზე მორგებული კვების</p>

	<p>ობიექტი, სამედიცინო ოთახი, რაც მოსწავლეებში და მშობლებში იწვევს უკმაყოფილებას.</p> <p>ამასთან ახალი სკოლის ასაშენებლად სადაც 400- მდე მოსწავლე განთავსდება საჭიროა 8000 მ2 ფართის მიწის ნაკვეთი, ხოლო სკოლის არსებული ტერიტორია 2000 კვ.მ-დეა. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ახალი მიწის ნაკვეთის მოძიება.</p>
<p>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</p>	<p>პროექტის განხორციელების შედეგად აშენდება ახალი თანამედროვე სრტანდარტების შესაბამისი შენობა საკლასო ოთახების საჭირო რაოდენობითა და ფართით, სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში წარიმართება და მოსწავლეებს ექნებათ გაცილებით უსაფრთხო, კომფორტული და პოზიტიური სასწავლო გარემო, რაც პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ხარისხზე, არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე და მთლიანად სასკოლო თემის პოზიტიურ განწყობაზე.</p> <p>აღნიშნული სკოლის მშენებლობით უსაფრთხო და კომფორტულ სასწავლო გარემო შეექმნება 400-მდე მოსწავლეს და 35-მდე თანამშრომელს (მასწავლებელი, დირექცია, ადმინისტრაცია).</p>
<p>შეფასების პერიოდი</p>	<p>15 წელი</p>

პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	სასწავლო კორპუსის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება⁶⁷	-	-	7,480,000 ლ
კაპიტალური ხარჯი			7,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები⁶⁸	735,880.1 ლ	945,101.7 ლ	583,366.8 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი⁶⁹	518,339.0 ლ	519,220.9 ლ	484,881.4 ლ
NPV⁷⁰	-1,640,013.20 ლ	-5,190,614.46 ლ	-6,886,671.40 ლ

⁶⁷ ხელოვნების კოლეჯის მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 7,480,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 7 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 210 000 ლარი, ზედამხედველების ხარჯი - 210 000 ლარი

⁶⁸ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი, მოსწავლეების ტრანსპორტის მომსახურება

⁶⁹ შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁷⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

<i>IRR</i> ⁷¹	#NUM!	#NUM!	#NUM!
<i>B/C</i> ⁷²	0.74	0.48	0.34

7. სსიპ ქალაქ სენაკის №3 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	ქალაქ სენაკის №3 საჯარო სკოლის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>ახალი შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება - გათბობის სისტემით, შიდა სპორტული და სააქტო დარბაზებით, ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული კლას-ლაბორატორიებით, სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უსაფრთხო გარემოს ფორმირებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას.</p> <p>მოსწავლეებს ექნებათ სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა კომფორტულ და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში. ეს შესაძლებლობა ხელმისაწვდომი იქნება როგორც ქალაქის, ასევე სოფელში მცხოვრები მოსწავლეებისათვის.</p>
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>შენობის მდგომარეობა არაადაპტაციონებულია სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა, დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო ექსპლუატაციას, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვების სიცოცხლეს. სველი წერტილები მდებარეობს სკოლის ეზოში. სკოლაში სწავლობს 14 სსსმ მოსწავლე, ადაპტირებული ინფრასტრუქტურა და პანდუსი არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.</p> <p>საჭიროა სკოლის სრულად დახურვა. მთლიანად სკოლის შენობა საფრთხის შემცველია, საჭიროებს დემონტაჟს.</p> <p>შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, ასევე გეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა სკოლის შენობის დემონტაჟის აუცილებლობა.</p> <p>სკოლის ეზოში განთავსებულია დამხმარე შენობა/სპორტული დარბაზი, რომელიც ავარიულ</p>

⁷¹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁷² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	მდგომარეობაშია და საფრთხეს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისათვის
შეფასების პერიოდი	15 წელი

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	სასწავლო კორპუსის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება⁷³	-		12,696,000 ლ
კაპიტალური ხარჯი			12,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები⁷⁴	1,052,574.1 ლ	1,522,023.7 ლ	1,124,518.7 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი⁷⁵	764,545.5 ლ	764,545.5 ლ	931,296.2 ლ
NPV⁷⁶	-2,122,093.89 ლ	-9,350,265.51 ლ	-11,695,821.54 ლ
IRR⁷⁷	#NUM!	#NUM!	#NUM!
B/C⁷⁸	0.77	0.43	0.36

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	ახალი სკოლის შენობა, სკოლისა და თემის თანამშრომლობის პროცესში, თავისი რეკრეაციული სივრცეებითა და ინფრასტრუქტურით გახდება საუკეთესო რესურსი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მოსწავლეებს ექნებათ სახლთან ახლოს, დილის ცვლაში, სრული ზოგადი განათლების მიღების

⁷³ მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 12,696,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 12 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 290 000 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი-360 000 ლარია

⁷⁴ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

⁷⁵ შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁷⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁷⁷ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁷⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>შესაძლებლობა კომფორტულ და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში.</p> <p>აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო სკოლის შენობა, რომელიც დააკმაყოფილებს 250 მოსწავლეს. მოსწავლეებს ექნებათ გაცილებით უსაფრთხო, კომფორტული და პოზიტიური სასწავლო გარემო.</p>
<p><i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i></p>	<p>ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნის მიხედვით, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის შენობა ტექნიკური მდგომარეობა არადააკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. შენობის გამოყენება არსებული სახით საფრთხის შემცველია.</p> <p>შენობაში სულ 17 საკლასო ოთახია, თუმცა არ არის შესაძლებლობა მანდატურის და ექიმის ოთახების გამოყოფის, შინა სველი წერტილების მოწყობის საშუალება, შენობა არ არის საკმარისი სრულფასოვანი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სამსაფეხურიან სკოლაში. ამისათვის საჭიროა ახალი შენობა, რომელშიც განთავსდება საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახები, საგნობრივი კაბინეტები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სამედიცინო ოთახი, მანდატურის ოთახი, სასადილო/ბუფეტი, დირექცია/ადმინისტრაციის ოთახი, სააქტო დარბაზი, დამლაგებლის ოთახი, რესურს ოთახი, სველი წერტილები.</p> <p>2022 წლის მარტიდან 2021-2022 სასწავლო პროცესის დასრულებამდე სკოლა გადასული იყო დისტანციურ, ახალი სასწავლო წლიდან კი მოხდება სასწავლო პროცესის ალტერნატიულ ფართში წარმართვა. სოფელ აწყურის საჯარო სკოლისთვის მოძიებული და შერჩეულია ალტერნატიული ფართის სახით სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლა, რომელიც სოფელ აწყურის საჯარო სკოლისთვის ყველაზე უფრო ახლომდებარე სკოლაა და მისი სიმძლავრე დაიტევს სოფელ აწყურის სკოლის 194 მოსწავლეს, სასწავლო პროცესი კი სოფელ აწყურის სკოლისთვის განხორციელდება მეორე ცვლაზე. აღნიშნულ ალტერნატიულ ფართში სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის ფარგლებში.</p>
<p><i>შეფასების პერიოდი</i></p>	<p>15 წელი</p>

პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	ახლი კორპუსის მშენებლობა
მოთხოვნილი დაფინანსება ⁷⁹	-	-	5,337,000 ლ
კაპიტალური ხარჯი	-	-	5,000,000 ლ
საშუალო წლიური ხარჯები ⁸⁰	601,136.0 ლ	796,864.8 ლ	597,061.3 ლ
საშუალო წლიური შემოსავალი ⁸¹	436,358.0 ლ	436,358.0 ლ	485,946.2 ლ
NPV ⁸²	-1,205,640.93 ლ	-4,242,333.86 ლ	-5,163,349.92 ლ
IRR ⁸³	#NUM!	#NUM!	#NUM!
B/C ⁸⁴	0.77	0.48	0.40

9. ე. ახალციხეში ახალი სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	ე. ახალციხეში ახალი სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე აშენდა ათობით საცხოვრებელი კორპუსი და კერძო სახლი. ქალაქის ურბანული განვითარებისათვის აუცილებელია რუსთაველის ქუჩაზე ახალი თანამედროვე სტანდარტების ტიპის საჯარო სკოლის მშენებლობა. დღევანდელი მდგომარეობით მოსწავლეთა ნაწილი ფეხით, ნაწილი კი სასკოლო ავტობუსებით და სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება ქალაქში არსებული საჯარო სკოლებისკენ. ახალი სკოლის აშენების შემდეგ გაუმჯობესდება ქალაქ ახალციხის საჯარო სკოლებში

⁷⁹ მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 5,337,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 5 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 165 000 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი-150 000 ლარია

⁸⁰ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი

⁸¹ შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁸² იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁸³ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁸⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	<p>არსებულ მდგომარეობაც, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი სახელმწიფოს იმ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის განხორციელებას, რასაც განათლებული და ღირსეული მომავალი თაობის აღზრდა ჰქვია.</p> <p>მოსწავლეებს ექნებათ სახლთან ახლოს, დილის ცვლაში, სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა კომფორტულ და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოში. სამინისტროს მოეხსნება უფასო ტრანსპორტირების პროგრამის ხარჯები.</p> <p>განსაკუთრებული სიმწვავეით დგას საჯარო სკოლების ავარიულობისა და მშენებლობისთვის არასაკმარისი ფართების პრობლემა, სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა კი ყოველწლიურად მზარდია. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, რაიონს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.</p>
<p><i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i></p>	<p>ქალაქ ახალციხეში ფუნქციონირებს 7 საჯარო სკოლა. წლების მანძილზე ჩამოყალიბდა ისე, რომ სკოლები ძირითადად განთავსებულია ქალაქის ერთ კონკრეტულ სივრცით არეალში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქალაქი განვითარდა, გაჩნდა ახალი უბნები და დასახლებები, თუმცა სამწუხაროდ არ მოხდა განათლებისა და კულტურის სფეროს ობიექტების გეგმაზომიერი განვითარება ამ მიმართულებით. ამასთან, არსებული სკოლები არის გადატვირთული და მათი ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობაც საჭიროებს გაუმჯობესებას. ქალაქის ამ უბანში, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ უკვე დაასრულა ახალი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღის მშენებლობა, აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი საჯარო სკოლის მშენებლობაც.</p>
<p><i>შეფასების პერიოდი</i></p>	<p>15 წელი</p>

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის აშენება
<i>მოთხოვნილი დაფინანსება⁸⁵</i>		15,948,000 ლ
<i>კაპიტალური ხარჯი</i>		15,000,000 ლ
		1,600,509.1 ლ

⁸⁵ ახალი სკოლის აშენების შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 15,948,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 15,000,000 ლარს, სკოლის აღჭურვის ხარჯია - 460 000 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი-450 000 ლარი

საშუალო წლიური ხარჯები ⁸⁶		
საშუალო წლიური შემოსავალი ⁸⁷		1,389,218.9 ლ
NPV ⁸⁸		-14,669,273.34 ლ
IRR ⁸⁹		#NUM!
B/C ⁹⁰		0.41

10. რამინ დიხამინჯიას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
პროექტის დასახელება	რამინ დიხამინჯიას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლის მშენებლობა
პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის მოკლე აღწერა	პროექტის შედეგად აშენდება ახალი, თანამედროვე სკოლის შენობა, რომელიც შექმნის უსაფრთხო და კომფორტულ სასწავლო გარემოს 450-მდე მოსწავლისთვის. ახალი შენობის აშენებამდე მოხდება არსებული ძველი, დაზიანებული შენობის დემონტაჟი; ახალი სკოლის აშენების პროცესში სასკოლო კონტინგენტს დასჭირდება ალტერნატიული ფართის მოძიება, შერჩეულია სსიპ ვ. ფირცხელავას სახელობის ქალაქ ჩხოროწყუს N2 საჯარო სკოლის შენობა, რომელიც შორიახლოს (500 მ) ქალაქის ცენტრშია განთავსებული. აქ სასწავლო პროცესი მეორე ცვლა დროებით დაეთმობა N1 საჯარო სკოლას.
საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება	სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ შენობის შესწავლის შემდგომ გააკეთა დასკვნა - შენობის მდგრადობა არაა დამაკმაყოფილებელია, მისი შემდგომი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია, გამაგრება-გამლიერებითი სამუშაოების ჩატარება კი არარენტაბელური. სკოლის 252 მოსწავლეს და 40 თანამშრომელს წლების განმავლობაში უწყევდა ავარიულ შენობაში საწავლა. მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 2022 წლის თებერვლის

⁸⁶ ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი; ტექნიკური პერსონალის ხელფასი,

⁸⁷ შემოსავალში შედის: იჯარიდან მიღებული შემოსავალი, ვაუჩრული დაფინანსება

⁸⁸ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁸⁹ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁹⁰ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

	მიწისძვრის შემდგომ. სასკოლო შენობის ასეთი მდგომარეობის გამო მოსწავლეთა პოტენციური კონტინგენტის გადინება ხდება სხვა, უფრო სტაბილური ფიზიკური გარემოს მქონე სკოლებში და იქმნება არახელსაყრელი კონკურენტული სიტუაცია. ახალი სასკოლო კორპუსის აშენების შემთხვევაში პოზიტიურად გარემოს შეცვლა უშუალოდ შეეხება დაახლოებით 1300 - მდე ადამიანის 400 მოსწავლე, დაახლოებით 800 მშობელი, 40-ზე მეტი თანამშრომელი). ზოგადად, სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა კი ყოველწლიურად მზარდია. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, ქალაქს შეემატება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.
<i>შეფასების პერიოდი</i>	15 წელი

წარმოდგენილი პროექტის ფინანსური მახასიათებლები			
	არაფრის კეთება	არსებული შენობის რეაბილიტაცია	სასწავლო კორპუსის მშენებლობა
<i>მოთხოვნილი დაფინანსება⁹¹</i>	-		12,688,000 ლ
<i>კაპიტალური ხარჯი</i>			12,000,000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁹²</i>	728,436.8 ლ	1,122,886.5 ლ	896,264.2 ლ
<i>საშუალო წლიური შემოსავალი⁹³</i>	524,152.0 ლ	524,152.0 ლ	746,727.9 ლ
<i>NPV⁹⁴</i>	-1,523,378.91 ლ	-7,653,772.76 ლ	-11,580,352.78 ლ
<i>IRR⁹⁵</i>	#NUM!	#NUM!	#NUM!
<i>B/C⁹⁶</i>	0.76	0.38	0.32

⁹¹ მშენებლობის შემთხვევაში პროექტის ჯამური ღირებულებაა 12,000,000 ლარი, სადაც კაპიტალური ხარჯი შეადგენს 12 000 000 ლარს, ხოლო აღჭურვის ხარჯია - 290 000 ლარი, ზედამხედველობის ხარჯი-360 000 ლარია

⁹² ხარჯებში შედის: საექსპლუატაციო ხარჯები, აუცილებელი რემონტის ხარჯი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხელფასი; აკადემიური პერსონალის ხელფასი,

⁹³ შემოსავლებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, იჯარიდან მიღებული შემოსავალი

⁹⁴ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, NPV უნდა იყოს დადებითი

⁹⁵ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, IRR უნდა იყოს მეტი დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც 5%-ს შეადგენს

⁹⁶ იმისათვის, რომ პროექტი იყოს მომგებიანი, B/C უნდა იყოს 1-ზე მეტი.

11. სსიპ - ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა

პროექტის შესახებ ინფორმაცია	
<i>პროექტის დასახელება</i>	სსიპ - ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის მშენებლობა
<i>პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება</i>	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
<i>პროექტის მოკლე აღწერა</i>	<p>პროექტის განხორციელების შემთხვევაში სკოლას გაუჩნდება დამატებით ახალი სასწავლო სივრცე 350 მოსწავლეზე. სკოლის ახალ კორპუსში განთავსდება 13 კლასი (55 კვ.მ და ზემოთ) საკლასო ოთახი, +71 კვ.მ კომპიუტერული კლასი. ასევე იქნება სამასწავლებლო და ადმინისტრატორის ოთახი, რესურსოთახი, ექიმის ოთახი, მნის ოთახი, ინვენტარის ოთახი, მანდატური, დამლაგებლის ოთახები, სააქტო დარბაზი, სასადილო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სპორტული შიდა და გარე დარბაზები. სკოლა შეძლებს 1-ლი-მე-4 კლასების განთავსებას ერთ ინფრასტრუქტურულ სივრცეში კომპაქტურად და დაკმაყოფილდება მშობლების სამართლიანი მოთხოვნა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შეექმნებათ უსაფრთხო, კომფორტული და ინკლუზიური სასწავლო გარემო. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სკოლის 26 სსსმ მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებისთვის გამოიყოფა ადაპტირებული სივრცე, მოეწყობა პანდუსი, გაკეთდება ლიფტი შშმ პირებისათვის.</p>
<i>საინვესტიციო პროექტის განხორციელების საჭიროების დასაბუთება</i>	<p>სსიპ ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლაში სწავლობს 1254 მოსწავლე; 60-იან წლებში აშენებული სკოლა პატარა, 3-სართულიანი ნაგებობაა, არასტანდარტული, მცირე ზომის ოთახებით, ვიწრო დერეფნებით; სასწავლო პროცესი ხორციელდება ფართის მწვავე დეფიციტის პირობებში. ისედაც პატარა შენობის მდგომარეობა დამძიმებულია იმიტაც, რომ სკოლის კანონიერ სარგებლობაში არსებულ 591.92 კვ.მ ფართზე, ერთ ფლიგელში (მძიმე ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაში არსებულ ფართში) წლებია განთავსებულია ა(ა)იპ - სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლა.</p> <p>სკოლის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ერთადერთი რეალური გზა სკოლის სარგებლობაში არსებული 5828 კვ.მ მიწის ნაკვეთის ეფექტურად გამოყენებაა.</p> <p>სკოლის მდგომარეობა კრიტიკულია, რადგან არ აქვს საჭიროების ფართები: სპორტული და სააქტო დარბაზები; რესურსოთახი სსსმ მოსწავლეებისათვის (სკოლაში 29 სსსმ მოსწავლე სწავლობს); სტანდარტული ზომის სასადილო;</p>

	საკლასო ოთახების უმეტესობა მცირე ზომისაა (35-40 კვ.); საგნობრივი კაბინეტები (ბიოლოგიის, ფიზიკის); საპირფარეშოების რაოდენობა მცირეა (სტანდარტიდან გამომდინარე 1254 მოსწავლეზე მინიმუმ 6 საპირფარეშოა საჭირო; სკოლაში სულ 3 საპირფარეშოა, ვაჟებისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი). ასეთი ვითარების გამო სკოლა ყოველწლიურად ზღუდავს ახალი კონტინგენტის მიღებას, თუმცა სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი დიდია.
<i>შეფასების პერიოდი</i>	15 წელი

პროექტის ფინანსური მახასიათებლები		
	არაფრის კეთება	სკოლის აშენება
<i>მოთხოვნილი დაფინანსება⁹⁷</i>	-	6,962,000 ლ
<i>კაპიტალური ხარჯი</i>	-	6,500,000 ლ
<i>საშუალო წლიური ხარჯები⁹⁸</i>	1,931,350.2 ლ	1,573,469.2 ლ
